ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №19

25 დეკემბერი , 2018 წელი

12:00 საათი

(ბიუროს ოთახი)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. ოთარ გრიგოლია;
6. ლილე ლიპარტელიანი;

მოწვეული სტუმრები: გელა ჩივიაშვილი-ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (№01-01183553866; 21.12.2018)
- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (№01-01183443954; 10.12.2018).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით მცირდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსება (კოდი 06 01 01) 260,0 ათასი ლარით.

გიორგი ბირბიჩაძემ წარადგინა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა იზრდება 1 223,9 ათასი ლარით და შეადგენს 192 254,6 ათას ლარს. უცვლელი რჩება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა 48 377,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო სოციალური დაცვის პროგრამებიდან იზრდება უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში (კოდი 06 02 14) 1 723,9 ათასი ლარით და შეადგენს 18 511,8 ათას ლარს. თავდაპირველ წარდგენილ პროექტთან შედარებით იზრდება ბენეფიციართა კვების სავარაუდო ღირებულება 1,18-დან 1,30 ლარამდე, ნაწილობრივ კომუნალური სუბსიდირებისა და სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამების შემცირების ხარჯზე ჯამში 500,0 ათასი ლარით, ხოლო დანარჩენი ქვეპროგრამები რჩება უცვლელი.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:
მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 1

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე